

გაცვლითი პროგრამა ჰააგის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტში:

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი აცხადებს კონკურსს [ჰააგის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტთან](#) გაცვლითი პროგრამის ფარგლებში 2 საუკეთესო სტუდენტის შესარჩევად.

კონკურსში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ ბაკალავრიატის სტუდენტებს.

შენიშვნა: გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ გაცვლაში მონაწილეობის მიღების მსურველ ბაკალავრიატის სტუდენტს დასრულებული უნდა ჰქონდეს სწავლის ერთი წელი.

კრედიტების აღიარება: ჰააგის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტში აღებული კრედიტების აღიარება მოხდება საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის შესაბამისი სასწავლო პროგრამის ფარგლებში.

შენიშვნა: გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ მასპინძელ უნივერსიტეტში სასურველი საგნების შესარჩევად სტუდენტებმა წინასწარი კონსულტაცია უნდა გაიარონ GIPA-ს შესაბამისი პროგრამის ხელმძღვანელთან ან/და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

ნიდერლანდებში სწავლის ხანგრძლივობა:

ერთი სემესტრი (2019 წლის შემოდგომის სემესტრი: 2019 წლის სექტემბერი - 2020 წლის იანვარი).

სასწავლო განრიგის, GIPA-ს სტუდენტებისთვის შემოთავაზებული საგნების ჩამონათვალის, ჰააგაში ცხოვრების და ბინის დაქირავების საფასურთან დაკავშირებით დეტალური ინფორმაციის ნახვა შესაძლებელია შემდეგ ბმულებზე:

<https://www.thehagueuniversity.com/practical-matters/international-student-services/international-office/housing>

https://www.thehagueuniversity.com/docs/default-source/documenten-opleidingen/andere-cursussen/exchange/academic-guide-guest-students-2018-2019-24-09-18.pdf?sfvrsn=4c01d083_0

სწავლის საფასური:

ჰააგის გამოყენებითი მეცნიერებების უნივერსიტეტთან გაფორმებული პარტნიორობის ფარგლებში, GIPA-ს სტუდენტებს არ მოუწევთ ჰააგაში სწავლის საფასურის გადახდა. თუმცა, შერჩეულმა სტუდენტებმა უნდა დაფარონ GIPA-ში მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასური.

შენიშვნა: შერჩეულმა სტუდენტებმა თავად უნდა დაფარონ საერთაშორისო მგზავრობის, ცხოვრების, სავიზო მოსაკრებლისა და დაზღვევის ხარჯები!

საკონკურსო დოკუმენტაციის ჩამონათვალი:

- 1) სამოტივაციო წერილი (ინგლისურ ენაზე, არაუმეტეს ერთი გვერდისა);

-) ერთი სარეკომენდაციო წერილი (ინგლისურ ენაზე);
-) ნიშნების ამონაწერი (ინგლისურ ენაზე, GPA-ის მითითებით);

დაინტერესებულმა სტუდენტებმა **ა/წ 15 მარტის 16 საათამდე** უნდა გამოაგზავნონ საკონკურსო დოკუმენტაციის სრული ჩამონათვალი შემდეგ ელ-ფოსტაზე: n.bakradze@gipa.ge

სტუდენტთა შესარჩევი პროცესი:

-) დოკუმენტაციის შემოწმება;
-) გასაუბრება აპლიკანტთან ინგლისურ ენაზე;

შერჩევის კრიტერიუმები: 2 საუკეთესო აპლიკანტი გამოვლინდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით:

-) მაღალი GPA
-) ინგლისურ ენის ცოდნის მაღალი დონე
-) აპლიკანტის მოტივირება
-) დახასიათება/რეკომენდაცია

დამატებითი კითხვების არსებობის შემთხვევაში დაგვიკავშირდით ელ-ფოსტის საშუალებით: n.bakradze@gipa.ge ან მითითებულ ნომერზე: 577 57 75 11

არასრული ან/და დაგვიანებული განცხადებები არ მიიღება!